

572
1979
№ 5

ISSN 0132-5865
საბავშვო ჟურნალი

საბავშვო
ქართული
1979 აპრილი № 5



პირველი გაისი

პ. გომიავშილი

წითელი დროშებით,
სიცაცხლის საღისით
მოდის, მთაბიჯებს
პირველი მისი.
მზისფერი დროშების
ქარია ბრიალა,
უღრუბლო ჩვენი ცა
მზემ გადმოიარა;
სითბოს და სინათლეს
გვიგზავნის საღისით.
მშობლიურ მთა-ბარში
მობრძანდა მისი.
სამშობლოს დიდებს
ზეიმობს მშრომელი,
სიცაცხლის, მშვიდობის,
სიკეთის მღვდელი.
და, ვაჟა მქუნარე
უფუფქსრივ გაისმის...
მობრძანდა მისი,
პირველი მისი.




საზვიაო

ზალვა ფორჩხიძე

ჭიკჭიკებენ შერცხლები,
 დღეა მართლაც უჩვეუი,
 სასუიმიდ მოურთავთ
 დღეს ქალაქის ქუჩები.
 თეთრი კაბა ჩამაცვს,
 ხელთ მქვს იის კონები,
 მოდით, ჩემო ტოლებო,
 შეერდში ჩაგვეკანებით...
 თეთრი ავაცციები,
 თეთრი იასამნები—
 მიდიმიან ბადიდან,
 მაისს მივესალმები!
 მიდიმიან ბადიდან
 შროშანა და გვირილა,
 ბადის კიდეს ლერწმები
 მოვლებია გვირისტად.
 აი, უკრავს ორკესტრი,
 შრიალებენ დროშები,
 ზარადს ერთად ვუწვიოთ,
 ერთურთს ნუ დავშორდებით.
 ვაწკრიდლოთ ქუჩებში
 სიმიფრები ხალიით.
 აღისფერი ვარდებით
 ჭეკავის დილა მაისის.
 თეთრი ავაცციებიც,
 თეთრი იასამნებიც—
 მიდიმიან ბადიდან,
 მაისს მივესალმები!



ბანტი ელუარე აგოკაძისა



ფშა

რკვეპა ინანიშვილი

მდინარე ეყვალამ იცის, რაც არის. ფშა, ანუ ფშანი, როგორც ზოგ ადგილას უწოდებენ? ეს ზოგს ეცოდინება, ზოგს — არა.

ფშა მდინარის ნაწურია, წმინდა, ციმციმა წყალი, რომელიც თანდათან იზრდება, ქმნის სიღრმეებში ჩალურჭებულ მღორეებს, მღორეები ერთმანეთზე გადაბმულია ლიკლიკა, მხიარული თავთხელებით, გაგრძელებულია ასე — მღორე და მხიარული თავთხელი, და ბოლოს ფშაც; ისევე, როგორც ტოტი, უერთდება მშობელ მდინარეს. მაგრამ ფშა ტოტი არ არის, მდინარის ტოტი მდინარის ცხოვრებით ცხოვრობს. მდინარე რომ აღიადლება: ტოტიც მაშინვე მატულობს, მდინარე რომ შეიმღვრევა, ტოტის წყალიც იმავე ფერისა ხდება, რაც მდინარეში თევზი და სხვა რამე ბუდობს, ტოტშიც ისინი ცხოვრობენ. ფშა კი, როგორც მოგახსენეთ, სხვა არის. ფშა მუდამ წმინდაა, გამჭვირვალე, ადიდებაც კი არ იცის, თუ რა თქმა უნდა, მდინარე კალაპოტიდან არ გადმოვიდა და ფშას არ ჩაერია.

მდინარის ნაპირები კვიანია, ან სუფთა სილია-

ნი, ფშისა — უმეტესად მწვანია. მის ნაპირებზე ხვარიელად ხარობს ღელი და ჭილი, დათვი-ჯაგარა და ჩალა; უფრო ღრმად, შიგ წყალში, ბაიები, ღუმფარები, წყლის მატიტელები და სამყურები. მათ შორის, ამ წყალმცენარეებს შორის, გაბმულია ძაფივით წვრილი მათი ფესვები, ზოგი წითელი, ზოგი თეთრი. ჩალას, კილსა და ლელს რომ ნიავი არხევის, წყალმცენარეებს წყლის ჭავლები ატოკებენ. ხანდახან დამფრთხალი თევზების ქარავანიც შეათახებებს ხოლმე. შეიძლება თევზის ქარავანი სულ არ ჩანდეს, მაგრამ თუ წყალმცენარეები უფრო აჩქარებით თახახებენ, ვიდრე წყლის ჭავლები, უნდა იცოდეთ, რომ იქ, დაბლა, თევზის ქარავანი ბრუნავს.

ფშას ბინადარნიც საკუთარი ჰყავს. ესენი არიან, პირველ რიგში, წმინდა, წყნარი წყლის მოყვარული თევზები — ჭანრები, ნაფოტები, წვერები. ფშაში მურწა იშვიათად შევა, მურწყც, კალმახიც და ხრამულიც. წვერა ლურჯი მღორეების ყველაზე ღრმა ადგილებს, გრილ ფსკერებს ეტანება; ჭანარი უფრო მაღლა, ფართოდ იხაზავს თავის სამფლობელოს, ნაფოტა სულ მაღლა ცხოვრობს, თითქმის წყლის ზედაპირთან. ნაფოტა ძალიან მოუსვენარია, ხშირად მაღლაც ხტება და ჰაერში იჭერს კოლოებს და წყლის ადლაბიჭებს — მშომელებს.



ნახატი თაგავ ხუშიფვილისა

ფშის მკვიდრნი არიან — მათი სავანე და გან-
საცხრომელია — ბაყაყები.

გაზაფხულზე, უფრო აპრილის მეორე ნახევარში, ანდა მაისში, ფშიდან განუწყვეტელი ყიყინი ისმის. განსაკუთრებით ხალამოობით. ხალამოობით მთელი კონცერტი იმართება ხოლმე. სხედან ლელიანებში თვალმდაკუსული, ფიჭრად-ქცეული ყიყინები, ყურს უგადებენ ერთმანეთის შორეულ გადაძახილს და თვითონაც აწყობით აყოლებენ თვითონ — „ბრე-კე-კე-კეს“, ანდა „ყუა-ყუას“. ფშაზე ცხოვრობენ წყლის ვირთაგვებიც, აქა-იქ წაყებიც. მათი სოროების შესასვლელი სანახევროდ წყლით არის დაფარული. გამოვარდებიან წყლის ჩხაჩხაბით ჩხნდებიდან და შეიკარგებიან იმ სოროებში. ხშირია, რომ ზაფხულობით ფშის კამკამა წყალში დალივლივებს, თითქოს მთელი სხეულით ცეკვავს წყლის ჭრელი გველი, ანდა ოქროსბიბილოებიანი ანკარა, ბაყაყებისა და თავგების ღიდი მტერი. ფშაში შეხვდებით აჩხაბაჩხა მოარულ წითელ კობორჩხალებს. მწერი ხომ უამრავი იცის — ნემსიყლაპიები და ზემოთ უკვე ნახსენები მშომელები — ნაპერწყლებივით რომ მიმოქრიან ღალაპა მღორების თავზე, კოლოები და ოქროსფრად გაბარწყინებული ქინქლის გუნდები. ფსკერი სა-

ესვა წურბელებით, ნამიჭამიებით და პაწაწინა დაფინებით.

ფშის ნაპირები ძალიან უყვართ წნორებს, მურუნებს, მდგანლებსა და ვერხვებს. მათ შორის ვერცხლისფრად მინისლულან ქაცვები. ამ ხეთა წითელი, დაჭინჭილებული ფეხვები ყველაზე სასწავარი საფარია თევზებისათვის.

ფშა ბუნებრივი თევზსაშენია. ზემოთ რომ თევზები ჩამოვთვალეთ, ისინი აქ თხელ უბებში ურიან ქვირითს, ანუ ტაფობენ, — თევზებიც, ბაყაყებიც. თევზის ქვირითი ძნელი შესამჩნევია, ბაყაყის ქვირითი კი გაბმულა, გახლართულა ვერილი, შავი მძივივით. ოქროს კრუხად დაადგება ხოლმე ზემოდან მზე, ათბობს, აცხუნებს. და სულ მალე თევზის ქვირითიდან ამოჩნდებიან მუცელგამჭვირვალე ლიფსიტები, ბაყაყის ქვირითიდან კი — თავკომბალები. როგორც ყველა პატარა ამ ქვეყანაზე, ლიფსიტები და თავკომბალებიც მეტად მოუსვენარნი არიან. სულ ფაციფუცობენ, სულ ერთმანეთს ეძიძგილებიან, ამიტომ ფშა ძალიან ღამაში სანახავია ავგისტოს ბოლოდან სექტემბრის გასულამდე, უფრო დიდილობით, მზე რომ პირველად ჩაჰკიდებს ოქროს სხივებს კამკამა წყალში. მაშინ თითო სხივს ათეულობით ლიფსიტა ეთამაშება, არის საკრისა და წითელი ფერების თვალმომჭრელი ტარცი-

ალი — ლიფსიტების ფერდებისა და წითელი ფრთის ძირების ბრწყინვა.

ფშა ზამთარში არ იყინება. მდინარის ტოტები რომ უნუღოთ არის ხოლმე შებოქილი, ფშაზე ორთქლი დგას. ეს იმიტომ, რომ ფშა ახლოს გაზღის მიწიდან, მიწის სიღრმეები კი, როგორც მოგვხსენებათ, უფრო თბილია, ვიდრე ზედაპირი, — ზამთრობით თბილი, ზაფხულობით გრილი. ზამთარში ფშის სითბო თევზებს იზიდავს, და ხდება ხოლმე, რომ ღრმა მდორეები ჩაბნელებულია წვრილი თევზის ქარავნით, მაღლიდან თოვს, ბარდნის, ფიფქები თითქოს წყალს კენკავენ, თევზის სქლად შედღებული ქარავანი კი შავი ღრუბელივით დგას. გეგონება, აქედანვე გაზაფხულს ელისო კიუტად.

ფშა მუდამ ხალისიანი და აღერსიანია, როგორც ყოველი მშობელი დედა, მაგრამ მე მინახავს სასოფართმეული, მგლოვიარე ფშაც. ეს ამ ორი წლის წინათ იყო, სექტემბრის ბოლოს, ივრის ტალაში, ჩემი სოფლის ზემოთ. მივიღოდი, ვიხედებოდი მდორეებში და ვუღიმიდი მისამების ნიშნად. ერთი, მეორე, მესამე მდორე და

— შემზარავ რამეს მივხვდი: იდგნენ, ჩვეულებრივად, ვერხვები, მურყნები, წნორები და ქაყვები, იყურებოდნენ წყალში; იდგნენ ჩალებიც, ლელებიც, ჭილებიც, იმათაც თავი წაეხარათ მდორეებისაკენ. მდორეები კი წმინდანი, გამჭვირვალენი, ცარიელი იყო, აღარავითარი სულდგმული აღარ ჭაქანებდა შიგ. გავჩერდი და ვიყვირე — ეები! — მაგრამ ამოდ, ერთი ლიფსიტაც კი არ დაფეთებულა; ერთი ბაყაყიც კი არ გაჩაჩუნებულა ბალახებში. გავქექე თხელი ლამი ნაპირთან და ვნახე, რომ იმ ლამს შერეოდნენ მკვდრები — ლიფსიტებიც და ცოტა მოზრდილი თევზებიც. ვიღაც ბოროტ კაცებს საწამლაკი გაეშვათ თვის დასაწყისში და იმათ ამოეუფუათ ყოველგვარი მუღმივი მცხოვრებნი ფშისა. ჩავქექი და ებებზე ხელეები შემოვიჭირე, რომ არ ავტირებულაყავი.

ფშა მრავალგვარი სიცოცხლის წყაროა, ამიტომ ყველა ჩვენგანი უნდა ნატრობდეს, — რაც შეიძლება ხშირად გვხვდებოდეს ფშებში დღეამიწაზე, თან ესეც უნდა დავუმატოთ, აღარავის, აღარავის გვენახოს სასოწარკვეთილი, მგლოვიარე, თითქმის მკვდარი ფშა.



აუჩქარებდალ

მინ-და მა-ღე გ-ვი-ნახ-ლო მა-ღე ვა-ხ-დე-ღი-ღი
 ჩა-ვ-დე მუ-იმ ხა-ჯე-ტა-ში მთ-ვა-სუ-თ-ჩ-იმ მი-ღის
 მი-ნას ვი-სე-გა-ვი-ნ-ჩ-ე ვე-რ-ღა გ-ვა-ხა-ხო
 ვე-ღა-ხ მთ-ხან-გი-ჭუ-ხე-ღა ხა-ქა-ტა-ხა-ხა-ხო

ლეკსი **დავით ხუროძისა**
 მუსიკა **მერაზ მერაზიშვილისა**

**მინდა დიდი
 ბავიზარლო**

მინდა მალე გავიზარლო,
 მალე გავხდე დიდი,
 ჩავჯდე მეც იმ რაკეტაში,
 მთვარესთან რომ მიდის.
 მიწას გმირად დავებრუნდე,
 ყველა გავახარო,
 ვეღარ მითხრან, ბიჭუკელა,
 რა პატარა ხარო!



ტანკისტი

ალექსანდრე ლიღვაზოვილი

ნახატები ელშარდ აგბოკაძისა

ღიღი თუთის ქვეშ მთელი უბნის ბიჭებს მოეყარათ თავი. იქვე ახოვანი, ჭალარა კაცი, ყოფილი ფრონტელი—სანდრო იგვა და პატარებს რალაცაზე გაცხარებით ვედაპარაკებოდა. ბიჭებს თავები ჩაელუნათ. თუთიდან მოზორებით კუდზე აგურგამობმული ხატულა ფისო აქეთ-იქით აწყდებოდა, მძიმე აგურს ვერ ერეოდა და საცოდავად კნაოდა. ერთბაშად, რამდენიმე დარცხვენისა ბიჭმა კატას აგური მოხსნა და ისიც

თავპირისმტვრევით გაენთო გზის მეორე მხრისაკენ.

— ეს რას გავს, პირუტყვს თუ ცხოველს ადამიანი აწვადებს?! — ჯაფრობდა ძია სანდრო, — რომ დაგინახეთ, როგორ შეუბრალებდა ექცეოდათ ამ უმწველ და უდანაშაულო ცხოველს, ძალიან მეწყინა, თქვენგან ამას არ მოველოდი. ერთ ამბავს მოგიყვებით, სამამულეა ომის დროინდელს. მაშინ კავკასიის დაცვისათვის ღიღი ბრ-

ძლები იყო ვაჩალებული. გერმანელები მყინ-
ვარწყვერისა თუ იაღბუზის გადმონახვას ცდი-
ლობდნენ.

ერთხელ მზვერავმა შეგვატყობინა, რომ მტე-
რი შეტევისათვის ტანკებს ამზადებსო. ტანკის-
ტების მეთაური ვიცავი და ჩვენც მოფეშბადეთ
დასახვედრად. ტანკში ოთხნი ვისხედით, ორი
ქართველი და ორი რუსი. ქართველს დავითი ერ-
ჭვა, კეთილი და გულადი ვაჟაკი იყო, სულ
მზიარულობდა, ამზანავებს ძალიან უყვარდათ.

მაღე მტრის ტანკები გამოჩნდნენ. მოგვიან-
ლოდნენ. დაგვიწყეს სროლა. სროლას სროლით ვუ-
პასუხეთ და ჩვენი მემიზნის სიმარჯვის წყაღ-
ბით—ჩქარა ფაშისტების ორ ტანკს ცეცხლი
ავარდა. უცებ საშინელმა დარტყმამ შეგვარყია...
ჩვენს ტანკსაც მოხვდა მტრის ყუმბარა. ორგე-
ლე მწარე ბლი დატრიალდა. შევამჩნიე, რომ
ცეცხლი მტრისათვის სასროდ ყუმბარებს უაზ-
ლოფებოდა, მათი აფეთქებით ყველაფერი ნამსხვ-
რვებად იქცეოდა. ბიჭებს ვუბრძანე, სასწრაფოდ
ტანკის ქვეშითა სათადარიგო გასასვლელიდან
გამძვრალიყვნენ. ავტომატომარჯვებულები მოვ-
შორდით ჩვენს მანქანას, რომელიც საცაა უნდა
აფეთქებულიყო. უცებ დავითი მიტრიალდა და
ტანკისკენ გახლხდა. დაბრუნდი მეთქი, ვუყვი-
რე. მას თითქოს არც გაგვალხოს ჩემი ბრძანება,
ტანკში ქვეშიდან შეძვრა. ჩვენ მთელი ყურად-
ღებით ველოდით უბედურებას. ორიოდე წუთში
დავითი გამოჩნდა. მკერდზე, ავტომატთან ერთად,
მიფხუტებინა პატარა, ბუნჩულა ღვეკი, რომელიც
ტანკში საბრძოლო მზადების დროს ჩავსვა
თურმე.

დავითი მოხლხდა თუ არა ჩვენთან, გამაყრუე-
ბელი აფეთქების ხმამ შეაზანზარა მიწა, ჩვენი
ტანკიდან ნამსხვრევების მეტი აღარაფერი დარ-
ჩენილა.

— აბა, ამას იქ როგორ დავტოვებდი, — მითხ-
რა დავითმა და ღვეკი ახლოს დამისვა...

აი, ასე იყო, ჩემო მეგობრებო! ადამიანს იმ
ჯოჯონეშიც არ ღაღატობდა ადამიანობა და
ერთი ჩვეულებრივი ღვეკისათვის საკუთარ სი-
ცოცხლეს საფრთხეში იგებდა.

ბიჭები ხმის ამოუღებლად იდგნენ და უსმენ-
დნენ. ზოგიერთს თვადზე ცრემლიც კი მომდგომოდა.

შაუპი

შალვა შუზლადი

მაინც ვგალობ, მაინც ვუსტვენ,
თუძცა შაუი მაცვია.

მსის ჩასვლისას ჩემი სტვენა
კარგი დარის მაცნეა.

ქართული ფუფკაკი

გუშინ მამამ საფუტკარემი

ოქტომბრულებს ასე უთხრა:

— ვერა ჯიბის სსხა ფუტკარი

ვერ ჯობია ქართულ ფუტკარს.

ღრმა ბუტკოდან ამოღება

ნექტრის—სწვისთვის თუა მხელი,

რუსიფურის ქართულ ფუტკარს

სოლოთუმი აქვს ისე გრძელი,

იმ ტკბილ ნექტრის მოწაღება

სულ არ არის მისთვის მხელი.



ვანო

სირა ჰიტიაშვილი

— უღვაშები შავი თუთით
 მოიხატე ვანო?
 — აბა, მაშ რა, პაპა ვანოს
 როგორ დავეშვებო?
 მხარზე ნაბადს წამოვივლებ,
 ვილილინებ თანო,
 ლურჯა ცხენსაც მოვასტები,
 წყალზე წაფიყვანო!
 — ბიჭო, იქნებ პაპასავით
 პირიც დაიბანო.



ლოკოპინა

ალექსი ნამორაკაძე

სქელი გარსის კვლეები
 ირგვლივ შემოიჯარა,
 ნამდვილ ციხე-სიმაგრეს
 დაამგვანა ნიჟარა.
 ისეთია ის ციხე,
 მხოლოდ თვითონ ვტყუა.
 მტერი ვერ მიუღდება,
 შიგ რომ ჩაიკეტება.



იასამანი

გიორგი შთთაქაური

უხარია იასამანს,
 ქარი მოჰქრის რია-რია:
 — გაიღვიძეთ, მისია,
 მზის სხივების ბრიალია,
 ირგვლივ ხეთა შრიალია,
 ფერთა იალ-კიალია!

ნახატები ნანა სულემინაშვილისა

ხუთი ლოკისა და ხუთი ქაღლის აგზავნი

მეხანი ბართაია

ხუთი ღორი შეეჩვია
მეხობლის ბაღს წელს.
რაც იმ ბაღს დღე დააწიეს,
არ ვუსურვებ მტერს.
და მეხობლის ბიჭებმა—
მერაბმა და მურადმა
შესთავაზეს მეხობელს
კულით, მეხობელურადა:
— რატომ აოხრებინებთ
ემაგ ღორებს ბაღს?
თუ გსურთ, ახლავ მოგიყვანთ
ხუთ დატეპილ ძაღლს,
ისეთ ძაღლებს, იმგვარი
არ ენახოს არავის,
უკვლავ მარჯვე, ეოხადი,
მარდი და მიძანაწვი.—
მართლაც, ჩვენმა ბიჭებმა,
სად იყო და სად არა,
მოიყვანეს ძაღლები:
ბამბურა და ბასარა,
შავზე შავი მარიქა,
არაბი და კუდლა...
არცერთს მიქსევის მეტი
არაფერი უნდა რა.
და ბამბურამ თქვა
თავის ძაღლურ ენით:
— არ გეჭირდება მონადირე,
არც თოფი და ცხენი.



მაგ ღორებს ჩვენ მოუკვლით,
არ შევირცხვინთ თავს,
წუწკებსა და მსუნაცებს
დღეს დავაჯრით შავს.—
მერე ერთი ხვრელში შემჭრა,
ერთი დარჩა კარეთ,
ერთი ღობეს მოყვარა,
ერთი ბაღის კარებს
და ბამბურამ ძაღლობიდან
გასცა მკაცრი ბრძანება:
— ამ! ამ! ამ! ამ! არ გაუშვათ
ღრუტუნები თავებმა!—
ბაღს ბოლოზე ტყე აკრავს,
საცაღფეხსო გზა უკლის...

უცებ ატედა განკაში,
ერთი აურზაური.
ღობე-ფორეს მიაწედა
დაბნეული ღორი.
ერთი ისე კორავდა,
როგორც მუნის მორი.
აქეთ-იქით უსტყვენ
მურადი და მერაბი,
ვიდას ახსოვს შარვალი,
ვიდას ახსოვს ზერანგი!
თითო ღორი დაითრია
შუა ბაღში თითოში.
ბამბურა კი მეთაურს
დაეცაბა თვითონ



და გაიქცა ჭევივლით
 ღორი გაუმაძღარი...
 ტყის გაჭქონდა ბუბუნის,
 მთას გაჭქონდა ზანზარი.
 მაგრამ მოულოდნელად,
 დინგით, ეშვით, დონით—
 მოუბრუნდა ბამბურას
 სისწლიანი ღორი...
 და წევეს ახლა დობესთან
 ის ბამბურა ძაღლი,
 უჭირს თვალის ვახელას
 ეშვით დაჭრილს, დაღლილს.
 თავსე ადგას ოთხი ძაღლი —
 შეკობარო ოთხი;

ზოგი ტირის ჩუმად,
 ზოგი ტირის მოთქმით...
 შუბლზე ტილო დაადეს,—
 იწვის, იწვის სიცხით.
 ძაღლი ტკივილს აიტანს,
 ვერ აიტანს სირცხვილს.
 ღორმა როგორ ძაჯობაო;
 ბოლბა აწევეს გულზე
 და დაჭრილ ფეხს—საცოდავი
 ოხვრე-კანესით უმზერს.
 იქადნება:—არ შეკარჩენ,
 შე—მართლაცდა, ღორო!—
 ამ ბორჯუასა და კანესაში

ჩამძინა ბოლოს.
 ის ღორი კი საღორეში
 ჩამწევედივს ხელად,
 არსაიდან, არავისგან
 აღარ ელის შევლას.
 შვიდი დღე და შვიდი დამე
 ეგდო ასე მარტო,
 სიმიდნს თუ რკოს ვინ ჩივის,
 არ აღირსეს ქატოც.
 ...ასე არის, ვის შერჩება
 ნაოფლარი სწვისი...
 კეთილს ნურვინ ნუ მოეღის,
 ვინც არ არის ღირსი!

19 მაისი-ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის დაბადების დღეა.

ვლადიმერ ასლავაზიშვილი

— იცი, ვინ არის პიონერი?
— მაგას რა კითხვა უნდა,— იტყვი შენ,—
ყელზე წითელი ყელსახვევი რომ უფრია-
ლებს.

ღიას, პიონერი შენისთანა პატარის ქომა-
გია, ზრუნავს შენზე, ცდილობს კარგი, კეთილი საქმე გააკეთოს, ასიაშოვნოს უფრო-
ებს, შრომლები გაახაროს.

სწორედ ასეთ კარგ, ყოჩაღ პიონერებზე გინდა მოგიყვეთ. მათ მისამართსაც გეტყვი: ისინი ქ. გორში, ძნელაძის ქ. № 50 სახლში ცხოვრობენ.

ღელის მამაბარი ბიჭი

ღილით აღრე გზაზე თითისხელა ბიჭი გამოჩნდა. ბანაკისკენ მიმავალმა მალხაზმა და მამუკამ შორიდანვე შენიშნეს.

— ნეტავი საით გაუწეფია ამ ბიჭს? იქით არც სახლებია. არც არავინ ემაწეოლებმა და ბავშვს აედევნენ. შეხედეს, ვერ იცნეს, სახელი ჰკითხეს, ბიჭი მამუკას სცხნია გამოდგა.
— ვისი ხარ?— დაინტერესდა მალხაზი.

— ღელასი!
— ღელაშენს რა ჰქვია?
ბიჭმა ვერ თქვა, ვერც მამის სახელი გაიხსენა, არც ვეფარი იცოდა.
— რა გქნათ?— საგონებელში ჩაყარდა მალხაზი.

— მილიციას შეფატყობინოთ, ისინი მოძებნიან ამის შრომლებს,— თქვა მამუკამ და მილიციელის მისამართად გაიქცა. მალე ის და მილიციელი მოტოციკლით მოქანდნენ.

— ყოჩაღ, ბიჭებოო,— შეეკა წესრიგის დამცველმა მამუკა ქონიაშვილი და მალხაზ კაცაშვილი, მგერ პატარა მამუკა მოტოციკლში ჩასვა, იმავე ღელს მოძებნა მისი შრომლები და ჩააბარა.

გამაბალაძე ელდარი

მტკვარი ხმირ წვიმებს აედიდებნა. ნაპირებზე რიყიანშიც გადასულიყო. ამღვრეულ წყალში თევზი აღვლიდა დაიჭირება, ამი-

ტომ ბიჭებს—პიონერებს ანცეგები მოემარჯვებინათ და თევზაობდნენ. მოულოდნელად ერთ-ერთმა პიონერმა—ელდარმა ანცეგი ხელიდან გაავლო და მტკვრის ნაპირს ზვეთი სირბილით აუყუა, ტანსაცმლიანად წყალში შეტომა.

ამხანაგებს რას გამოგებარებოდა ეს ამბავი, მიხედნენ, რაღაც რომ მოხდა და ისინიც იქით გაიქცნენ. ახლოს მიიბრინეს და რა ნახეს! ელდარს 4—5 წლის ბიჭი ხელგებზე გულაღმა ვადაყვინდა და წყლიდან გამოჰყავდა, ბიჭი სულს ძლივს ითქვამდა. ბევრი წყალი ეყლანა, გალუმბულს წყალი წურწურით ჩამოსლიდა.

ყმაწვილებმა უკვე გადაღლილ ამხანაგს ბიჭი ჩამოართვეს, სახელდახელო სამედიცინო დახმარება იქვე გაუწიეს და პოლიკლინიკისკენ გააქანეს.

— ელდარ, ცურვა რომ კარგად არ იცი, წყალში როგორ შებრებ შეგელა?—ჰკითხა ერთმა ამხანაგმა.

— არც კი ვამხსენებია, ან ფიქრის დროსაღ იყო, დავინახე რომ ბიჭუნა იხრჩობოდა,—თქვა ელდარ გიგაურმა.

დაპარკული სხპრავი

გია ბანაობიდან ბრუნდებოდა. სანამ შინ მივიდოდა, „მტაბი“ უნდა ენახა. ბიჭებს მტაბი ხვეში, თვინათი ხელით გამოთხრილი გამოქვაბულში ჰქანდათ მოწყობილი. აქ თამაშობდნენ ომობანას.

გიამ უკვე გაღ-ბარდებში გაბმული სამი ცხვარი შენიშნა, იტყუბა ბალახმა მიიტყუა და გაიბნენ საცოდავები.

ბიჭი უშალ ბარდებში შეფერა, ბევრი იწვილა, ხელები დაისისხლიანა, მაგრამ აინუნშიც არ ჩავდო, მატულში გახვეული გლიანის ტოტები ცხვრებს მოაკლდა და წინ გაილალა. ხემაღლა რომ ამოვიდა, შორის მიმავალი ფარა დაინახა, გია იქით გაიქცა და მწყემსებს დანაკარგი ცხვარია ჩააბარა. გორის რაიონის სოფელ ბერბუკის საბჭოთა მეურნეობის მწყემსებმა პიონერ გია ჯიჩოვს მძღობა გადაუხადეს.



ნახატები თამაზ ხუშიშვილისა

უბედური კრუსი

გივი შიშინაძე

— კაკ-კაკ! ვახ-ვახ! რომ იცოდეთ
მეზობლებო, რარიგ შეერცხვი!
ჯერ იყო და ძლივდივობით
დავდე მხოლოდ ათი კვერცი.
ერთი, კარგად აღარ მახსოვს,
ვინ მოხოვა და ვის მივეცი,
ორი ვირთხამ შემიტამა,
დამჩრა შევიდად შევიდი კვერცი.
სამი, ვიდრე კრუსად დავჯექ,
ამაცაღა წუწკმა კატამ,
ამის მერე—დანეკვისას
სამი კვერცი გამიდაცა.
ერთადერთი კვერცი დამჩრა,
არ მოვაკედ გულისყური
და წიწილაც გამოგჩეკე
ცადუნება და უღლურნი.
ჰოდა, შეხეთ, ისიც აგერ,
ძერას მიჰყავს საცოდავი!
ვაი, უკვე გაიტაცა,
სად გამოფყო ანდა თავი!



ლამაზი კაბა

ზოთა სუბაზვილი

პატარა ნელის ვუყიდე
კაბა—ყაყაროს ფერი...
იმ სალამოსვე, რას ვხედავთ,
ზედ შეიწმინდა ხელი.
ყველას ძალიან გვეწონია,
მას კი სულაც არ შერცხვა,
ამას ეს კაბა კი არა,
ტომარა უნდა ეცვას!



ნახატები ნანა სულემენაშვილისა



სოცხის ქერი

პარლო კოვარიძე

გაზაფხულზე თოვლი რომ გაიპარა და ბალახმაც გაიღვიძა, სწორედ იმ ხანებში გოგია ძიამ ლეკვი მოიყვანა,—ნათესავეს მაჩუქაო. ისეთი შავი იყო ის ლეკვი, ჭვარტლში ნაგორავეები გვეგონებოდათ. ნატეხარით რძეში ჩამბალ პურს რომ დაუდგამდნენ ხოლმე და თქლათათქლუფით ჭამდა, წითლად შელაგდა ენა, თეთრად—კბილები. ეს სიწითლე-სითეთრე რაღაც უცნაური გეჩვენებოდათ, თითქოს მოელოდით; ენაც შავი უნდა ჰქონოდა და კბილებიც.

მოიყვანა გოგია ძიამ ლეკვი და ვიღრე ბუნავს გამოუქებინდა, ჯერ ბოსტანში მოფუფუსუს მებობელს გადასძახა:

- ნუცავ, ბალოლები სად არიან?!
- წყაროზე წავიდნენ... რა ამბავია?!
- ბედი არ გინდა, კაცო, რაღა ახლა წავიდნენ.
- ე, მოდიან კიდევაც!

მართლაც მოდიოდნენ: ნინოსა და ქეთინოს, აქაოდა, დიდები ვართო, ნისკარტა დოქებით მოჰქონდათ წყალი, თამარიკოს კიდევ ჰიქლით.

— აბა, გამოიქეცით! — ხელიც დაუქნია გოგია ძიამ.

ნახატი ვახტანგ გულისაშვილისა

წელით სავსე კურქელი დადგეს და საზიარო ლობის კარი რომ გამოაღეს, თვალს არ დაუჯერეს: თონესთან ბურთივით ჩამრგვალებული შავი ლეკვი დარაკრაცებდა.

— რა ლამაზია! — ტაში შემოჰკრა ნინომ.

— ანჩხლია? — იკითხა ქეთინომ.

თამარიკომ კი კულით დაითრია ლეკვი, — ჩემია!

— იყოს! — თქვა გოგია ძიამ, — თუმცა მარტო შენი კი არა, ბარემ სამივესი იყოს, ოღონდ არ დაგვიწყდეთ, ძაღლს კბილები მარტო ჭამისათვის არა აქვს. მაშა!

ამ დროს გოგია ძიას ცოლი, დეიდა ლოლა გამოვიდა მარნიდან, დინახა ლეკვი და ქმარს გაუწყრა:

- რად მოიყვანე, კაცო, ლეკვი!
- რად და, ეგე, ერთი კიდევ დელიასა ჰყავს, შეეამხანავდებით, შევაბამთ უღელში და გაგმართავთ გუთანს!

ნინომ გაიცინა, ქეთინომ კი ვერ გაიგო ნათქვამი:

— რა უღელი და გუთანია?

— ხუმრობს.

— რად გვინდა, კაცო, ძროხა დაგვიდის თუ ცხვირი? მგელი დაგვეცემა თუ ქურდი? — უფრო გაწერა დედა ლოლა.

— სოფელი იმისი სოფელია, ძალიც უნდა გვაედღეს და კატაც უძაღლო სოფელი სად გაგანოლა, ადამიანო?! ერთიც ენახოთ, ყველამ შენსავით იფიქრა, ეე, სად წავა, ხომ ვადაგვიშენდა ძალი? მაშინ, ჩემო ბატონო, აქლემისა არ იყოს, ცირკსა და ზოოპარკშილა მოგვიწყეს ამისი ნახვა!.. ნამდვილად მშვენიერი ლეკვია, ღმერთმანი!.. შენ ისა თქვი, რა დავარქვათ?

— მურია! — წამოიძახა თამრიკომ და ასუნუსლუფბულ, მოლაქუცე ლეკვს ხელი გაუწოდა, — მოიტაცათი!

— ჯერ პატარაა და მაგდენი არ იცის, — გაეღიმა გოგია ძიას, — ჰო, რაკი შავია, მურიაც უნდა ერქვას. მაშ, ასე, თამრიკოს წინადადებით მურია ჰქვია!.. ახლა საყელურს გამოუფნახავ სადმე, ჯაჭვი ხომ მაქვს და მაქვს!

— არ დაბაბ, — შეეხვეწა ნინო, — ცოდეია.

— თანაც ძალიან ანჩლი გამოვა, — თქვა ქეთიანომ.

— მაშ, არც ყურები დავაქრა, ჰა?

— დაშავა რამე? — იკითხა თამრიკომ.

ახლა კი ლოლა დედასაც ვაეცინა:

— ავი ძალი არ ვარგა, ყვეა კი აუცილებლად უნდა იცოდეს. ზოგჯერ მეზობელი გეძხის, ზოგჯერ — სტუმარი, მაგრამ საქმითა ხარ გართული და ვერ ვაგონებს. აი, მაშინ უნდა დაიყვფოს ძაღლმა — გამოიხედო... ვინმე თუ დაგლიჯა, რად მინდა ისეთი ძაღლი.

— მართალია, — თავი დაიქნია გოგია ძიამ, — თქვენი ხიორით, ჯერჯერობით არ დავაბამ; ცოტა გაიზარდოს, მოლონიერდეს და დაბმას მერეც მოვსწავლი. ჩვენ, ხშირად დადღივართ ვენახში და აბა, თქვენ იცით და თქვენმა მეზობლობამ, როგორც მოუვლეთ.

მშვენიერად უფილდნენ, რასაც მოიხელოთებდნენ, ხან აშკარად, ხან მალვით აქმევდნენ მურიას.

— მაგისტის დავკალი, შეფლო, ქათამი?... — ბრაზობდა ნუცა ბებია, — მაგისტის ვიყიდე ხორცი?... მაგისტის გამოვაცხე ხაჭაპური?... ძაღლი იმის ძაღლია, ძღვები და კუტი უნდა ჰქონოს!

ამოვა ვენახიდან გოგია ძია და იკითხავს:

— როგოა მეზობლებო საქმე, ხომ არ აწენინეთ მურიას?

— რას ამბობ, შუადღის აქეთ სულ ძინა და ახლახან გაიღვიძა!

— ჰო, მშვიერი რომ ყოფილიყო, რა დადიხებდა! ამასობაში მთელი თვეც გავიდა, გაიზარდა მურია და გოგია ძიამაც თქვა:

— ახლა კი ღროა დავაბა, თორემ იმდენს ანებიერებთ, თქვენს ხელში ყვეა დაავიწყდება.

სათონის გვერდით ზოდები იყო დასობილი, ზედ მსხვილი ლატები იყო გავდებული, ზევიდან ფიჩხი და წალამი სათიფესავით ადგა.

იქ დაბა მურია.

— დასცხება და ქვეშ შეძერება, წვიმა მოვა და მაშინაც ქვეშ შეძერება. ფიჩხი და წალამი არ დალბეს, არ დანესტიანდეს — შეთქი, იმიტომ დავდგი ასე და ვერ უყურებ, მურიას გამოადგა!

მაგრამ ლოლა დეიდამ არ ქნა:

— თონესთან რა უნდა, კაცო, ძაღლს?!

— მაშ, სად წავიყვანო?

— ეზოს ბოლოში. გზასთან.

რადს იზამდა, ეზოს ბოლოში, გზასთან, საქათმის გვერდით დაბა.

როგორ თუ დაბმა მაკადრესო! — აწმუტუნდა, აწვაწვადა მურია, თან ისე ხტოდა, ისე იწვედა ასაშვებად, ნამდვილად შეგეცოდებოდათ. ამ ტრილოში, ჯაჭვი დივირბა, საყელური წაეჭირა და რომ არ მიშველებოდნენ, დაიხრჩობოდა.

მაინც არ მოიშალა წვაწვაკვი და წმუტუნნი. მაშინ კი გაბრაზდა გოგია ძია, აიღო ცოცხი და მავრად სცემა მურიას.

ცოტახნის შემდეგ ისევ აწვაწვაკვია.

გოგია ძიამაც ისევ ცოცხით სცემა.

მოკლედ, სამი დღე სცემდა ცოცხით და ძლიეს მოაშლევინა წმუტუნ-წვაწვაკვი.

მიეჩვია მურია დაბმას, ყვეაც ისწავლა.

მთელი ერთი დღე ჰყავდა დაბმული. ახლა კი ნამდვილად ცოდევა, ღამ-ღამობით უნდა ავეუშვა, გაიარ-გამოიაროსო და, მართლაც აუშვა.

გახარებულმა მურიამ სულ შემოიარინა მეზობლის ეზოები.

მეორე დილით ლოლა დეიდამ ცოცხი მოიანკლისა:

— ნუცავ, ჩემი ცოცხი ხომ არ წავიღია?

— მეც ვე უნდა მეკითხა შენთვის, წუხელ აქ,

კიბეზე დადევ და აღარ არის!

იმ დამეს სხვა მეზობლებმაც დაკარგეს ცოცხები. იბუზღუნეს, იბუზღუნეს, მაგრამ ამ ბუზღუნით ვერც ცოცხი იპოვნეს, ვერც ცოცხის ქურდი. მერე აღგნენ და ახალი ცოცხები იყიდეს.

არ გასულა დიდი დრო და ერთ დამეს ის ახალი ცოცხებიც მოიპარეს. მაშინ კი გაბრაზდნენ და მილიციის ინსპექტორს—არკადის დაურეკეს.

მაშინვე მოვიდა მილიციის ინსპექტორი, ეტუბოდა, ძალიან იყო შეწუხებული. მოვიდა და ამდენი ხალხი ერთად თავშეყრილი რომ დაინახა, უფრო შეფიქრიანდა:

— რა მოხდა?

— ვიღაც ქურდი შემოგვეჩვია, — უთხრა გოგია ძიამ, — ორი დღის წინ ამ უბანში ექვსი ცოცხი მოიპარა, წუხელ კიდევ რვა ცოცხი წაიღო, მთლად ახალი ცოცხები!

არკადი ინსპექტორმა მიიხედ-მოიხედა, არუყრუყებული ინდაურები დაინახა და იკითხა:

— ვისია ინდაურები?

— ჩვენი, — უთხრა გოგია ძიამ.

— სად გქონდათ ცოცხი?

— სახლის საჩეხში ვყულა კედელზე, ეზოსი კიდევ — საქათმეზე.

— როგორ დავიჯერო, — თქვა ინსპექტორმა, —

მოვიდა ქურდი, ცოცხები მოხვეტა. ეს პატროსანი ინდაურები კიდევ აქ დატოვა?.. იხუმრებდა ვინმე.

— მე ასეთი ხუმრობა ერთხელ გამიგია.

— მე კიდევ სამჯერ. — გაეცინა ინსპექტორს, — მივღებ-მოვღებო და გამოვარკვე!

მაგრამ ვერ გამოარკვია. ცოცხები კი აღარ იკარგებოდა, რაკი ყველა მეზობელი საგანგებოდ ინახავდა.

ერთ დღესაც გოგია ძის ქალაქელი სტუმარი ეწვია. ქათამს დაედევნა დასაქერად. ის ქათამი ფიხებში შეძერა, შეჰყავა გოგია ძია და რას ხედავს, — აფერ არ არის ცოცხები! ყველაფერს მიხედა: თურმე მურია იპარავდა. ცოცხითა მცემს და როცა აღარ ექნება, როგორ მცემსო.

გარეთ გამოაღვა ცოცხები. დაუძახა მეზობლებს, — თქვენები რომლებია, ამოარჩიეთ და წაიღეთო.



მთელი უბანი გაოცდა, — ეს რა ჰკვიანი ძალი ყოფილაო.

გოგია ძია ძალღთან მივიდა და მოვეფერა:

— აღარა გცემ, მურავ, აღარ. თუ ძალიან გამაჯაერებ, მაშინ კი ჯოხით ავიტრელებ ვვერდებს.


მეზობლებმა ბევრი, ძალიან ბევრი იცინეს ამაზე. მურია კი ისევ ცერად, შიშითა და უნდობლად უყურებდა ცოცხებს.





შეადგინა ქ. გორის 1-ლი საშ. სკოლის მოსწავლემ მაია ქანაშვილმა.

თავსაცხები



შეავსეთ ცარიელი უჯრედები ქართული ხალხური სიმღერებისა და ცეკვების სახელწოდებებით ისე, რომ ფერად სვეტში მიიღოს «გაზაფხული».

შეადგინა ქ. თბილისის 161-ე საშ. სკ. IV კლასის მოსწავლემ ეკა მაჩიხაშვილმა.

ბულგული


ზაქან სვანიძე

განა ბევრს გთხოვთ? ალტაცებულს
საქართველოს მთა-ბარითა,
ერთ კარგ ტყეში,
ერთ კარგ ხეზე,
ერთი კარგი ტოტი მინდა...
დავჯდები და—მეც დავტკბები,
თქვენც დავატკობთ ვალობითა!

შაქაღა

ზაფხა აბაშიძე

ქალი ერეკლეს ლაშქარში
იბრძოდა გლეხთა რაზმითა,
ახლა კი მისი სახელი
შარადამოაც დაგვიჩორდა.
ვხსნით ბოლო ხმოვანს და ვურთავთ
მუსიკის ბგერას მეშვიდეს,
თვე არის ისე კეკლუცი,
რომ ყველა თვეებს შეშურდეს.



შავი კლავიშები

ტოტო ქუჭყიანი ხელეებით პიანინოს უკრავდა. დედა გაბრაზდა:

— როგორ შეიძლება მოთხუპნული ხელეებით პიანინოს დაკვრა?!

— არაუშავს, მე მხოლოდ შავ კლავიშებზე ვუკრავ.

სიზმარი

დედა ეკითხება ტოტოს:

— რა არის სიზმარი?

— ძილის დროს ნანახი კინოფილმი.

ნამსხვარი

ტოტო და მარი საუზმობენ.

— ნამცხვარი დამივარდა, მაგიდის ქვეშ ძალი წვეს, არ შექამოს!—წამოიყვირა მამობ.

— ნუ გეშინია, ნამცხვარს ფეხი დავადგი, — დაამშვიდა ტოტომ.

გოგო სოფაში

ტოტო სოფელში ბიძას ესტუმრა.

ერთ დღეს უვირილით მიირბინა ბიძასთან:

— რძის ვედროში თავი გდია!

— მერე, არ ამოიყვანე?

— არა, შიგ კატა ჩავსვი.


პინვაიასა

თვალდახუჭული გოგონა სარკის წინ დგას.

— რას აკეთებ?—ჰკითხა დედამ.

— მაინტერესებს, ძილის დროს როგორ გამოვიყურები.

ფრანგულიდან თარგმნა ნანა სტურუაძე



ნახატი მიხეილ სოლოვიოვისა



ამ კოსმოსური აპარატებიდან რომელი იყო მთვარეზე და რომელი ვენერაზე?



საქ. კვ ტვიხის გამომცემლობა
Издательство ЦК КП Грузии

მთავარი რედაქტორი გუხრან შატაშვიანი

სარედაქციო კოლეგია: ანდრე ბაბულაშვილი (პ/მგ. მდივანი), ილინა ბაბუქაძე, კუპური გოგივაშვილი, ლილა მისაძე, მავალა მგებლობაშვილი, ჯიშუა მუჯირი, გიორგი კრიშთაშვილი (სამხ. რედაქტორი), ირემ ჰეხიაშვილი, რომან ლარიაშვილი, გივი მნაღაძე.

საქ. ალექს ცუჩინა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ფუნქციონირების განყოფილება
ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ფუნქციონირების განყოფილება

ტექნიკური მდივანი

მისამართი: რედაქციის გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14, ტელ.: მთ. რედაქციის—93-41-30, 93-98-15; პ/მგ. მდივნის—93-10-32, 93-98-17; სამხ. რედაქციის—63-98-18, განყოფ.—93-98-19; სამდივნის—93-98-16.
გადაეცა ასაწეობად 16/11-79 წ., ხელმოწერა დასაბუქდათ 17/IV-79 წ., ქალაქის ზომა 60x90 მმ.
ფინ. ნახ. ფურც. 25, ტირაჟი 158.000. შეფ. № 504 „დილა“ № 5, на грузинском языке, ფასი 20 კაპ